შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის
2013 წლის 27 მაისის N 124 ბრძანებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N 2

ქ. ლაგოდეხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსი N811

ქ. თბილისი **10.06.2013წ.**

კომისიის თავმჯდომარე,
არჩილ ცაბუტაშვილი - კომპანიის დირექტორი;

კომისიის წევრები:

გიორგი ქუთათელაძე – დირექტორის პირველი მოადგილე,

დავით შუხოშვილი – დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ საკითხებში;

კახაბერ სოლოღაშვილი – დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში;

გიორგი კობერიძე - დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში;

ბორის მირიანაშვილი-დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში;

ჯაბა შაგულაშვილი - შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

გალაქტიონ გორდეზიანი - საპროექტო დეპარტამენტის უფროსი;

გურამ სოსელია - საპროექტო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:

თეიმურაზ ბიგანიშვილი - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე ტექნიკურ და ოპერირების საკითხებში.

დღის წესრიგი:

შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საკუთარი სახსრებით **ქ. ლაგოდეხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვის** მიზნით გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილი წინადადებების (დალუქული პაკეტების) გახსნა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის - ჯაბა შაგულაშვილის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ **ქ. ლაგოდეხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვის** უზრუნველსაყოფად კონკურსი გამოცხადდა 2013 წლის 05 ივნისს. პროექტების სავარაუდო ღირებულება შეადგენს განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 2%-ს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 130000 (ას ოცდაათი ათასი) ლარს. საკონკურსო წინადადებების მიღება დაიწყო 2013 წლის 05 ივნისს და დასრულდა 2013 წლის 10 ივნისს 12:00 საათზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: **შპს „გეომეფი“ და ი/მ რევაზ დიდმანიძე“**

განიხილეს:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის“ მე–8 მუხლის შესაბამისად კომისიის ყველა წევრი ადასტურებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებთან.

გაიხსნა დალუქული პაკეტები და გამოცხადდა ფასები:

1. **შპს „გეომეფი“**- 105000 (ას ხუთი ათასი) ლარი

2. ი/მ **„რევაზ დიდმანიძე“** – 127000 (ას ოცდაშვიდი ათასი) ლარი.

დაადგინეს:

1. **შპს „გეომეფი“**-ს და ი/მ **„რევაზ დიდმანიძე“** -ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასების მიზნით, საკონკურსო კომისიის სხდომა განახლდეს 2013 წლის 12 ივნისს.

2. კომისიის აპარატმა უზრუნველყოს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების, წინამდებარე ოქმისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუყოვნებლივ გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე აღნიშნული დოკუმენტაციის გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: /არჩილ ცაბუტაშვილი /

კომისიის წევრი: /გიორგი ქუთათელაძე/

კომისიის წევრი: /დავით შუხოშვილი/

კომისიის წევრი: / კახაბერ სოლოღაშვილი/

კომისიის წევრი: / თეიმურაზ ბიგანიშვილი/

კომისიის წევრი: / გიორგი კობერიძე/

კომისიის წევრი: /ბორის მირიანაშვილი/

კომისიის წევრი: /ჯაბა შაგულაშვილი/

კომისიის წევრი: / გალაქტიონ გორდეზიანი/

კომისიის წევრი: / გურამ სოსელია /

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის 2013 წლის 27 მაისის N 124 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის თავჯდომარის, საკონკურსო კომისიის წევრებისა და აპარატის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ქ. ლაგოდეხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვის კონკურსი

N811

10 ივნისი 2013 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ჩვენი მონაწილეობა მითითებულ კონკურსში არ ეწინააღმდეგება აღნიშნული პუნქტის მოთხოვნებს.

ამონარიდი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები *(28.06.2010. N3163 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:

ა) საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;

ბ) ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოლაპარაკების გამართვას;

გ) ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას;

დ) ამოღებულია (28.06.2010. N3163 ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან)

ე) მიმწოდებლის შერჩევას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში.

ვ) საკონკურსო წინადადების განხილვა და კონკურსის მეშვეობით მიმწოდებლის შერჩევა (28.06.2010. N3163 ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან)

ზ) სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვას. (15.12.2010. N4068)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები. თუ პრეტენდენტი ან მიმწოდებელი არის ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის დებულებების გავრცელების შემთხვევები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, სახელმწიფო შესყიდვების თავისებურებათა გათვალისწინებით. (30.03.2012. N5975 ამოქმედდეს 2012 წლის 1 მაისიდან)

3. დაუშვებელია, პრეტენდენტმა ან მიმწოდებელმა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4. მას შემდეგ, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

5. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა შეწყვიტოს მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში. *(28.06.2010. N3163 ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან)*

კომისის თავმჯდომარე:

არჩილ ცაბუტაშვილი _____

კომისიის წევრები:

გიორგი ქუთათელაძე _____

დავით შუხოშვილი _____

კახაბერ სოლოღაშვილი _____

თეიმურაზ ბიგანიშვილი _____

გიორგი კობერიძე _____

ბორის მირიანაშვილი _____

ჯაბა შაგულაშვილი _____